პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი

07.12.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ქიტიაშვილი - გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ლელა მაისურაძე - პროფესიული განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს პროექტის "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი;
თამარ კაკუტია - სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული ტესტირების კოორდინატორი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი;
ნინო ჩიქოვანი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
ვახტანგ ჭარაია - ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარატმენტის უფროსი;
ნანა ყუფუნია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში, ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტი;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის წარმომადგენელი:
იზი იორამაშვილი - დირექტორი

შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენლები:

ინგა მანაშერიძე - დირექტორი
ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლები:

ვასილ კიკნაძე - დირექტორი
მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე
დალი კალაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

სხვა დამსწრე პირები:

ქეთევან ქოქიაური - კ. ერისთავის სახ. ქირურგიის ეროვნული ცენტრის მთავარი ექთანი
ნატა ჩხაიძე - შპს ,,PSP ფარმას'' - განყოფილების ხელმძღვანელი, სასწავლო პროგრამების განხორციელების კოორდინატორი
სალომე სიორდია - შპს სიოს დირექტორი
შორენა ხაჭაპურიძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის მრჩეველი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შორენა ხუბუნაია;
დალი კალაძე;
ბარბარე გონაშვილი;
ნინო ხაჩიძე;
ქეთევან გელაშვილი;
ფრიდონ გოგიაშვილი;
თეა ლილუაშვილი;
ვანო ოთხოზორია;
ქეთევან გელაშვილი;
იანინა გიგიბერია

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
3. შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №19 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
5. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
7. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

კახაბერ ერაძემ საბჭოს გააცნო შპს კოლეჯის ხვალინდელი წარმატებისათვის დირექტორის შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხების განხილვის გადადების შესახებ, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას და განხილვაში მონაწილეობას.
საბჭო გაეცნო კოლეჯის დირექტორის შუამდგომლობას და თანდართულ საავადმყოფო ფურცელს. აღნიშნა, რომ საკითხის წარმოების ვადები დარღვეულია საბჭოს ამ დრომდე არარსებობის გამო, შესაბამისად საკითხი დროულად უნდა განიხილოს საბჭომ. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცელი მოქმედებს 11 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, თუ საბჭო კენჭისყრით დაეთანხმება საკითხის განხილვის გადადებას, ლოგიკურია საკითხი განხილულ იქნეს 13 დეკემბერს დაგეგმილ სხდომაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხების 13 დეკემბერს ჩანიშნულ სხდომაზე გადადების შესახებ საკითხი. საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
3. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

1. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - შორენა ხუბუნაიამ, დალი კალაძემ და ბარბარე გონაშვილმა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 8, 9 და 10 ოქტომბერს და ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. აქვე შენიშნა, რომ კოლეჯს სურს განახორციელოს საფინანსო სერვისების, პრაქტიკოსი ექთნისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამები და ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.

ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში დააფიქსირა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილება: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, პარტნიორი დაწესებულებებისათვის უფასოდ ატარებს ტრენინგს პირველად გადაუდებელ დახმარებაში, რითაც ახდენს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტები. დაადასტურეს, რომ ობიექტებზე ნამდვილად არის შექმნილი ყველა პირობა სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღების და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის.
პრაქტიკის ობიექტზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს ჰყავს ორი კოორდინატორი, ერთი უშუალოდ ობიექტის ბაზაზე, ხოლო მეორე კოორდინატორი კოლეჯის წარმომადგენელია. ორივე კოორდინატორი ერთმანეთთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას, შეფასებას და პრაქტიკის დღიურების წარმოებას. შენიშნა, რომ პრაქტიკის დღიურები, გარდა დღის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების აღწერითი ნაწილისა, შეიცავდა ფოტო და ბეჭდურ მტკიცებულებებს ცალკეულ პროცედურებთან დაკავშირებით, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება 4 პროფესიულ სტუდენტთან და 2 კურსდამთავრებულთან. სტუდენტები იცნობენ სწავლებისა და შეფასების მიდგომებს. მათ მიერ დეტალურად იქნა აღწერილი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესი. ინტერვიურებაზე წარმოდგენილი კურსდამთავრებულები იყვნენ დასაქმებულები იმ კლინიკებში, სადაც გაიარეს პრაქტიკული კომპონენტი. სტუდენტები და კურსდამთავრებულები გამოხატავენ კმაყოფილებას

კოლეჯის ადმინისტრაციისა და პერსონალის მიმართ. აქვე შენიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ აქვთ მოთხოვნა კოლეჯის კურსდამთავრებულებზე და მზად არიან დაასაქმონ.

ექსპერტთა შეფასებით, შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის შიდა პროცესების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით, სასურველია ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე პირის აყვანა, რაც ექსპერტთა აზრით დადებითად აისახება დაწესეულების მენეჯმენტისა და ხარისხის კომპონენტის განვითარებაზე. აღნიშნეს, რომ ამ დროისთვის ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციას ასრულებს კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ასევე კოლეჯის დირექტორი.

შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 5 წლის ვადით მფლობელობაში აქვს 650 კვ.მ. კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ფართი. ექსპერტებმა შესაბამისი ფოტომასალა წარუდგინეს საბჭოს.

დალი კალაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებდა მხოლოდ პრაქტიკოსი ექთნის პროგრამას და ეხლა სურს განახორციელოს პროგრამა ფარმაციაც (სააფთიაქო). შენიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა უფრო სწრაფად აღწევს შედეგს, ვიდრე ე. წ. საგნობრივი პროგრამები. სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული პრაქტიკულ კომპონენტში და კმაყოფილებას გამოხატავენ.

აქვე შენიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის აღჭურვილობა საერთო ჯამში დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, კოლეჯმა ზედმიწევნით კარგად მოახერხა მათი შეძენა და შეიძლება ითქვას კოლეჯის აღჭურვილობა აჭარბებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მინიმალურ აღჭურვილობას, მათ შორის რაოდენობრივად.

თავმჯდომარე დაინტერესდა პრაქტიკის ობიექტებთან გასაუბრებისას ხომ არ დაფიქსირებულა მათი უკმაყოფილება ბიუროკრატიულ საკითხებთან მიმართებით. დალი კალაძემ შენიშნა, რომ ექთნებს დიდი დატვირთვა აქვთ საავადმყოფოებში, მართლაც შრომატევადია ინსტრუმენტების შექმნა და მტკიცებულებების შეგროვება, ამ ყველაფერში კოლეჯის კოორდინატორი ეხმარება და ამგვარად უმარტივებს საქმიანობას პრაქტიკის კოორდინატორს.

თავმჯდომარე დაინტერესდა პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები ვის მიერ ფასდება. დალი კალაძემ უპასუხა რომ ამ შემთხვევაში შეფასება ხდება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთა მიერ, ხოლო მათ მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევს კოორდინატორი.

გიორგი ხიშტოვანი დაინტერესდა საფინანსო სერვისების პრაქტიკის ობიექტებთან არსებული მდგომარეობით.

კოლეჯის დირექტორმა, იზი იორამაშვილმა შენიშნა, რომ საფინანსო სერვისები მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, როგორც საბანკო, ასევე სავაჭრო მიმართულებით. შესაბამისად კოლეჯი თანამშრომლობს ორივე მიმართულების დაწესებულებასთან, როგორიცაა ჰიპერმარკეტების ქსელი გუდვილი და ლიბერთი ბანკი. აღნიშნა, რომ ორივე მათგანს აქვს სურვილი დაასაქმოს კურსდამთავრებულები. გიორგი ხიშტოვანი დაინტერესდა რამდენ ხანს გრძელდება პრაქტიკა პროგრამის ფარგლებში. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ყველა მოდულს აქვს თავისი პრაქტიკა, რაც გაწერილია სასწავლო გეგმაში.

დირექტორმა ასევე განმარტა რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანია ,,ალტასთან'' და კომპანია შესაბამისი პროგრამით უზრუნველყოფს კოლეჯს.

თავმჯდომარე დაინტერესდა კოლეჯი ხომ არ თანამშრომლობს სხვა ალტერნატიულ კომპანიებთან, სადაც შესაძლებელი იქნება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად ჰიპერმარკეტების ქსელი გუდვილი ან სხვა დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ მისი მოსაზრებით ჰიპერმარკეტების ქსელი გუდვილის ხელმძღვანელობა დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩევა და მისი ალტერნატივის ძიებაზე არ უფიქრია, თუმცა საბანკო მომსახურების პრაქტიკის ობიექტების რიცხვის გაზრდა სურს. ასევე ისაუბრა სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ობიექტების უარყოფითად შეფასების საფუძველზე პრაქტიკის ობიექტის შეცვლის შესახებ კოლეჯის გამოცდილებაზე.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ეს საკითხი სარეკომენდაციო ხასიათისაა და აღნიშნა, რომ მრავალრიცხოვანი პრაქტიკის ობიექტების არსებობის პირობებში პროფესიულ სტუდენტს შეეძლება თვითონ გააკეთოს არჩევანი, თუ სად მიაღწევს პრაქტიკული უნარების შედეგს. მეორე მხრივ პრაქტიკის ობიექტების კონკურენცია დაიწყება სტუდენტის აყვანაზე, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება პროფესიული სტუდენტის კარიერულ წინსვლაზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რა გახდა ავტორიზაციის წინა პერიოდში დაწესებულებაში მონიტორინგის საფუძველი. კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ კოლეჯში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი, ისევე, როგორც სხვა ყველა იმ დაწესებულებაში, რომლის ავტორიზაციის ვადა იწურებოდა მომდევნო წელს. აღნიშნა, რომ კოლეჯში მონიტორინგის ვიზიტისას არსებითი ხარვეზები არ დაფიქსირებულა. დაფიქსირდა რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლინდა, რომ გაიზიარა კოლეჯმა.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, თუ როგორ შეარჩიეს პროფესიული მასწავლებლები. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ პროფესიული მასწავლებლების შერჩევა კონკურსის წესით არ მომხდარა. პირადი განცხადების საფუძველზე, დარგობრივი კომპეტენციების მქონე პირებისაგან სპეციალურად შექმნილმა კომისიამ გასაუბრებით შეარჩია თუ რამდენად პასუხობდნენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შემდეგ მათთან გაფორმდა ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ რეკომენდირებულად მიიჩნია ადამიანური რესურსების მოძიების და შერჩევის უფრო გამჭვირვალე და ეფექტური პოლიტიკა ორგანიზაციის განვითარებისათვის.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოს არარსებობის გამო საკითხი ვერ იქნა განხილული ავტორიზაციის ვადის გასვლამდე და კოლეჯს 31 ოქტომბერს გაუვიდა ავტორიზაციის ვადა. შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიმდინარე წლის 31 ოქტომბრიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კოლეჯის ავტორიზაცია უწყვეტ რეჟიმში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 108-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი / კოლეჯი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 108 - ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 31 ოქტომბერი.

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	126	156	ქართული	40	ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №12
2	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 090352	123	153	ქართული	40	ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №12
3	საფინანსო სერვისები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	28	ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №12

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

საკითხის განხილვისა და კენჭისყრის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ჩიქოვანმა.

2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თეა ლილუაშვილმა და ვანო ოთხოზორიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრი ირინე ფხაკაძე ვერ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 13 და 14 სექტემბერს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს ინტერბიზნესის აკადემიაში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საფინანსო სერვისების, ფარმაციის (სააფთიაქო), ვებტექნოლოგიების და საექთნო საქმის პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

შენიშნა, რომ ვებტექნოლოგიების პროგრამასთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

2.1. ქვესტანდარტთან მიმართებაში:

პროგრამის შემადგენელი მოდულების ნაწილის განსახორციელებლად დაწესებულებას მფლობელობაში/სარგებლობაში არ გააჩნია პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსი და როგორც პროგრამის მოდულებში არსებული ჩანაწერებით ირკვევა გეგმავს რამდენიმე მოდულის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებში. თუმცა პროგრამის დანართებად წარმოდგენილ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში იკვეთება შემდეგი:

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი არ აკონკრეტებს რა რაოდენობის პროფესიულ სტუდენტს მოემსახურება, ასევე არ არის დაკონკრეტებული რა რესურსზე და ინვენტარზე ექნებათ წვდომა პროფესიულ სტუდენტებს, რაც არ იძლევა იმის შესაძლებლობას იდენტიფიცირებული იყოს უზრუნველყოფილია თუ არა პროგრამის შემადგენელი ხუთი პროფესიული მოდული განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

- კარიტასის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრთან ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული აღნიშნულ ბაზაზე ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული პროგრამის განსახორციელებელი კონკრეტული მოდულები, ასევე არ არის განსაზღვრული რა მატერიალური რესურსით იქნება უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესი ან/და კონკრეტულად რის სწავლებაზე იღებს ვალდებულებას პარტნიორი ორგანიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი ხელშეკრულება და მემორანდუმი არ იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური რესურსი შემდეგი მოდულებისთვის:

1. პირველი გადაუდებელი დახმარება
2. ანალიზური ქიმიის საფუძვლები
3. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები
4. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1
5. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2
6. სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული

ინგა მანაშერიძემ, კოლეჯის დირექტორმა, განმარტა, რომ კოლეჯს თავიდანვე სურდა აღნიშნული პროგრამის მატერიალური ტექნიკით კოლეჯის უზრუნველყოფა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ საპილოტედ, სასწავლო პროცესის პირველ წელს, დაიგეგმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო პროგრამით სტუდენტების დაინტერესების შემთხვევაში კოლეჯი დროულად შეიძენდა საჭირო აღჭურვილობას. აქვე შენიშნა, რომ დაწესებულება 2007 წლიდან ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებდა, შესაბამისად ფლობდა აღჭურვილობას და ვიზიტის შედეგად დასკვნაში ამ საკითხის ხარვეზად დაფიქსირების შემდეგ, კოლეჯმა საბჭოს სხდომამდე შეიძინა შესაბამისი აღჭურვილობა. აღნიშნულის დამადასტურებლად წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები და ფოტომასალა.

ინგა მანაშერიძემ აღნიშნა, რომ ნატა ჩხაიძე, შპს ,,PSP ფარმას'' წარმომადგენელი, დაეხმარა მათ ამ მატერიალური აღჭურვილობის სწორად შერჩევაში და მათთან ერთად მოხდა დაკომპლექტება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად.

ნატა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ შპს ,,PSP ფარმას'' პროფესიული პროგრამების უზრუნველყოფის ხელმძღვანელია. ასევე შენიშნა, რომ ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისას დარგის ფასილიტატორი იყო. შპს ,,PSP ფარმა'' უკვე 15 წელია ახორციელებს თანამშრომელთა გადამზადებას ტრენინგ კურსების მიხედვით. რეალური საჭიროების მიხედვით კომპანია ჩაერთო პროფესიულ განათლებაში, ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში და დაიწყო თანამშრომლობა 2 კოლეჯთან, ხოლო ამ ეტაპზე შპს ინტერბიზნესის აკადემიასთან, რადგან კოლეჯი მათ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. აღნიშნა, რომ უკვე 6 თვეა თანამშრომლობენ, როგორც პროგრამის შემუშავებაში, ასევე აღჭურვილობის შერჩევაში, ჩატარდა ტრენინგები და ა.შ.

თავმჯდომარემ ჰკითხა ,,PSP ფარმას'' წარმომადგენელს ადასტურებდა თუ არა, რომ კოლეჯის აღჭურვილობის შესახებ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტებით დასტურდება, რომ კოლეჯმა შეიძინა ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული აღჭურვილობა, რომელიც არის ფუნქციური და ადგილზე განთავსებული. ნატა ჩხაიძემ დაადასტურა აღნიშნული.

ინგა მანაშერიძემ შენიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ განახლდა ხელშეკრულება კარიტასთან და გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი.

3.3 ქვესტანდართან მიმართებაში:

- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებს, მათი უმრავლესობა დაკორექტირდა ვიზიტის პერიოდში, თუმცა ერთ პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ვიზიტის დასრულებამდე არ წარმოუდგენიათ შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი. ინგა მანაშერიძემ განმარტა, რომ ვიზიტის დროს აღნიშნული პროფესიული მასწავლებელი ქვეყანაში არ იმყოფებოდა და ვიზიტის შემდგომ მოხერხდა განახლებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

2.1. ქვესტანდარტთან მიმართებაში:

პროგრამის შემადგენელი მოდულების ნაწილის განსახორციელებლად დაწესებულებას მფლობელობაში/სარგებლობაში არ გააჩნია პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსი და როგორც პროგრამის მოდულებში არსებული ჩანაწერებით ირკვევა გეგმავს რამდენიმე მოდულის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებში. თუმცა, პროგრამის დანართებად წარმოდგენილ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში იკვეთება შემდეგი:

- ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან 2017 წელს გაფორმებული მემორანდუმი, რომლის საგანია აკადემიის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის სტუდენტების თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობებისა და საწარმოო პრაქტიკის წარმართვა, არ ითვალისწინებს [პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე" კლინიკური მოდულების უზრუნველყოფის პირობებს, პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობასა და უფლება-მოვალეობებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან შპს ინტერბიზნესის აკადემიას გაფორმებული აქვს ორი ხელშეკრულება, ერთი საგნობრივი, ხოლო მეორე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის ფარგლებში. შენიშნა, რომ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტებში მხოლოდ ერთი (საგნობრივი პროგრამის შესახებ) ხელშეკრულება იყო გადმოგზავნილი, ხოლო მეორე (ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის შესახებ) ხელშეკრულება შემუშავდა პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემდგომ. ორივე ხელშეკრულება დაახვედრეს ექსპერტთა ჯგუფს.

თეა ლილუაშვილმა განმარტა, რომ მათ იხელმძღვანელეს მოდულში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად და ახალი ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ და შესაბამისად არც მოიძიეს. ამდენად, დასკვნა ეყრდნობა ცენტრში წარმოდგენილ და მოდულში მითითებულ ინფორმაციას.

- შპს „ავერსის კლინიკასთან“ დადებულ მემორანდუმში არ არის განსაზღვრული პირობები ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ კლინიკური მოდულების უზრუნველყოფაზე.

ინგა მანაშერიძემ შენიშნა, რომ ხელშეკრულებებში არ იყო ჩაშლილი მოდულების დასახელებები, რაც დეტალურად იქნა მითითებული ექსპერტთა შენიშვნის მიხედვით ვიზიტის შემდგომ.

- კარიტასის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი შინმოვლის მოდულში მითითებულია უკანასკნელის განხორციელებისათვის სასწავლო C გარემო.აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული კონკრეტულად „საექთნო საქმის“ პროფესიული პროგრამა, აქ განსახორციელებელი შინმოვლის მოდული და ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ.

დაწესებულებას საკუთარ ბაზაზე არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და არც წარმოდგენილ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებშია აღნიშნული ინფორმაცია საექთნო საქმის პროფესიული პროგრამის შემდეგი მოდულების განხორციელებასა და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფაზე:

1. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
3. კლინიკური პრაქტიკა -თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა -თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
5. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
7. კლინიკურიპრაქტიკა - სამეანოდაგინეკოლოგიურიპაციენტის საექთნო მართვა
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
9. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
10. შემაჯამაბელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
11. შინმოვლა
12. ავადმყოფის მოვლა

3.2 *ქვესტანდართან მიმართებაში:*

საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კლინიკური სწავლა - სწავლების პროცესში ჩართული ექთნების პირადი საქმეებით არ დასტურდება მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა იმ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტითა და შესაბამისი პროგრამით.

საფინანსო სერვისების პროფესიულ პროგრამასთან მიმართებაში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი:

2.1. ქვესტანდარტთან მიმართებაში: საფინანსო სერვისების პროგრამის მოდულში „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ მოდულის განხორციელების ადგილად კოლეჯის სასწავლო ფართთან ერთად, მითითებულია პრაქტიკის ობიექტი - ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ. სს „ვენჯორჯია“ -„ვენდი“; სს „სმარტ რითელი “-„სმარტი“; სს „დი ენდ ბი საქართველო“ – „დანკინი“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2018 წლის პირველ აპრილს გაფორმებული მემორანდუმი არ ითვალისწინებს მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ განსახორციელებლად პარტნიორობას. მოდულში არსებული ჩანაწერის

მიხედვით კი მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ, საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე - სავაჭრო ობიექტში, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა სალარო ოპერაციების შესრულებისთვის. სალარო ოპერაციების პროგრამა არ არის უზრუნველყოფილი არც აკადემიის ბაზაზე.

გიორგი ტრაპაიძე დაინტერესდა, თუ იმყოფებოდნენ ექსპერტები პრაქტიკის ობიექტებთან და რა გარემოება გამოიკვეთა მათთან გასაუბრებით.

ექსპერტებმა დაადასტურეს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრების შესახებ და აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან თანამშრომლობის და ასევე კურსდამთავრებულების დასაქმების მზაობა გამოიხატა, უბრალოდ საკითხის პრობლემატურობა მდგომარეობს იმაში, რომ მემორანდუმი არ ითვალისწინებს კონკრეტული ერთი მოდულის განსახორციელებლად პარტნიორობას.

ინგა მანაშერიძემ განმარტა, რომ ხარვეზი გამოსწორებულია და ექსპერტთა შენიშვნის მიხედვით, კოლეჯმა ვიზიტის შემდგომ განაახლა მემორანდუმი და აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგინა დაწესებულებამ ცენტრში. აქვე განმარტა, რომ კოლეჯს რამდენიმეწლიანი ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებს ზოგიერთ კომპანიასთან და ხელშეკრულებისა თუ ურთიერთთანამშრომლობის მომორანდუმების ხშირ ცვლას თავს არიდებენ. ახალ პარტნიორებთან კი უკვე მეტად დეტალურად ხდება ხელშეკრულების საგნის განსაზღვრა. შენიშნა, რომ აღნიშნული კომპანია გამოთქვამს მზაობას კურსდამთავრებულთა ქვეყნის მასშტაბით დასაქმების შესახებ.

ანა საბახტარიშვილი დაინტერესდა უფრო კონკრეტულად რა მდგომარეობა იყო მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაც ხარვეზად იქნა მიჩნეული ექსპერტთა მიერ.

თეა ლილუაშვილმა აღწერა, რომ ფარმაცია (საათიაქო) პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ხუთი მოდულის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის საკითხი გატანილი ჰქონდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. თუმცა, ხელშეკრულებაში არ იკვეთებოდა აღნიშნული მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტები იმყოფებოდნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და დადასტურდა ზემოთხსენებული მატერიალური რესურსის მათ მფლობელობაში არსებობა. წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება მათი მზაობა ურთიერთთანამშრომლობაზე, თუმცა ასევე გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ ჯერ არ აქვთ განრიგი, თუ როდის იქნება თავისუფალი აღნიშნული მატერიალური რესურსი, რომ შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ სარგებლობა. შენიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ პროგრამების მიმართულებით მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აქვს.

ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯს მისცა რამდენიმე რეკომენდაცია:

- პროფესიული პროგრამის დამტკიცების პროცედურის ნათლად ფორმულირებისთვის აკადემიის დებულებათა კრებულის 8.4.7 მუხლი შესაბამისობაში მოვიდეს შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის 2.6 მუხლთან;
- სასწავლო გეგმაში წინაპირობა და მის შემდეგ მოდულს შორის განსაზღვრული იყოს ისეთი შუალედი, რომ პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა მიეცეს.
- საფინანსო სერსვისების პროფესიული პროგრამის დანართებს - სასწავლო გეგმას და ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ მიენიჭოს დანართის ნომრები და ბრძანების რეკვიზიტები.

- ,,საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ყველა მოდულის წინაპირობად ნაცვლად სრული ზოგადი განათლებისა, გაიწეროს რეალური წინაპირობა მოდულები.
- სასურველია, დაწესებულებამ დებულებაში ასახოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის N147 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად;
- დაწესებულებამ შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.
- რეკომენდებულია პირველი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირებს განესაზღვროს ფუნქციები.
- გაიწეროს ადმინისტრაციის უფროსის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აკადემიის პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, პოზიციების დასახელებები შესაბამისობაში მოვიდეს ორგანიზაციის სტრუქტურაში არსებულ პოზიციებთან;
- მოხდეს ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების სრულყოფა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობების ასახვა შრომის ხელშეკრულებებში.
- მომსახურების ხელშეკრულებებში გაიწეროს ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ანაზღაურება, რათა ნათლად გამოჩნდეს ავტორიზაციის ვადით, პროგრამის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის მდგრადობა.

ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინეს კოლეჯში ვიზიტისას გადაღებული ფოტომასალა.

ინგა მანაშერიძემ აღნიშნა, რომ ხარვეზები აღმოფხვრილია. აქვე შენიშნა, რომ კოლეჯის არამარტო კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება, არამედ საქმდებიან ან ანაზღაურებად პრაქტიკას გადიან აქტიური სტუდენტებიც.

საბჭომ სათათბიროდ შესვენება გამოაცხადა 18:00 სთ-ზე. სხდომა განახლდა 18:15 სთ-ზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო შეჯერდა. აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე დასკვნის შემდეგ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტების გათვალისწინებით დაწესებულებას ყველა ხარვეზი გამოსწორებული აქვს. ამიტომაც პროგრამების დამატებაზე უარის თქმის საფუძველი დღეისათვის არ არსებობს, თუმცა შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამასთან მიმართებით მატერიალური რესურსების სტანდარტთან თავსებადობის გადასამოწმებლად, საბჭოს სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში შპს ინტერბიზნესის აკადემიაში განხორციელდეს მონიტორინგი და შედეგები ეცნობოს საბჭოს.
ანა საბახტარიშვილმა აღნიშნა, რომ ის თავს შეიკავებდა ფარმაციის პროგრამის დამატებაზე თანხმობისაგან, რადგანაც სჯობს ახლა ეთქვას უარი კოლეჯს ერთი პროგრამის დამატებაზე, ვიდრე მონიტორინგის ფარგლებში კოლეჯის ავტორიზაციას საერთოდ დაემუქროს საფრთხე, რითაც დაზარალდება სტუდენტთა ინტერესები. პოზიციას დაეთანხმა ნანა ყუფუნია.

თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის დირექტორს და ჰკითხა, აცნობიერებდა თუ არა ის ამ რისკს, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ ის აცნობიერებს ამ რისკს და დარწმუნებულია, რომ კოლეჯი აღნიშნული სტანდარტის მოხოვნებს დღეისათვისაც აკმაყოფილებს.

თავმჯდომარე დაინტერესდა საავტორიზაციოდ წარმოდგენილ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის პრაქტიკის ობიექტზე ,,გატანის'' გამო ექსპერტების მიერ ვერ შეფასდა პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები, გარდა ერთი პროგრამისა - ვებტექნოლოგიები - 12 პროფესიული სტუდენტი.

ინგა მანაშერიძემ აღნიშნა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამისათვის კოლეჯს აქვს 15 კომპიუტერი, რაც ორ ცვლაში მოემსახურება 30 პროფესიულ სტუდენტს, ასევე დამატებით შესაბამისი A გარემო. საექთნო საქმის პროგრამა სამწლიანია, სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობაა 90, თითოეულ მიღებაზე 30 პროფესიული სტუდენტი. ფარმაცია (სააფთიაქო) ორწლიანი პროგრამაა, სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობაა 100, თითოეულ მიღებაზე 50 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული პროგრამებისათვის შესაბამისი ქიმიური ლაბორატორია აღჭურვილია, მოწყობილია აუდიტორიები თეორიული სწავლებისათვის და ამ პროგრამებიდან 9 მოდულის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლის შედეგები და 3 პრაქტიკული მოდულის სწავლის შედეგები გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ საექთნო საქმის პროგრამის A გარემო 15 სტუდენტზეა გათვლილი, ორ ცვლაში 30 სტუდენტის მიღების შესაძლებლობაა. საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ახალი ხელშეკრულების გათვალისწინებით დაადასტურეს 90 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აღნიშნულ პროგრამაზე. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამაზე - 30 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, ხოლო ფარმაცია (სააფთიაქო) - 100 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.

ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ კოლეჯის მზაობა ხარვეზების გამოსასწორებლად იმის დასტურია, რომ ექსპერტთა ვიზიტს ფუჭად არ ჩაუვლია.

გიორგი ტრაპაიძემ აღნიშნა, რომ ყველა სხვა გარემოებასთან ერთად მისთვის მეტად მნიშვნელოოვანია დამსაქმებლის პოზიციის გაცნობა და ასე მკაფიო ჩართულობა პროფესიული განათლების განვითარებაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ,,საფინანსო სერვისების'' მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ,,ვებტექნოლოგიების'' მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ,,საექთნო საქმის'' მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1 (ნანა ყუფუნია)

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ,,ფარმაციის (სააფთიაქო)'' მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2 (ნანა ყუფუნია, ანა საბახტარიშვილი)

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (ს/კ:201990881) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საფინანსო სერვისები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	30	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

2	ვებტექნოლოგიები (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 040175	63	93	ქართული	12	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
3	საექთნო საქმე (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 090554	180	210	ქართული	90	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
4	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 090352	120	150	ქართული	100	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

3. **შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა მეორე საკითხმა. კოლეჯმა მოიპოვა დამატებით ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელზეც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 232-ს. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 241-ით. შესაბამისად შპს ინტერბიზნესის აკადემიას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე უნდა განესაზღვროს 473-ით. დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ ცვლილებას დაეთანხმნენ.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 473-ით.

საკითხის განხილვისა და კენჭისყრის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ხიშტოვანმა.

4. **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა - იანინა გიგიბერიამ და ქეთევან გელაშვილმა.

იანინა გიგიბერიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ ვალიშვილი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო ვერ ესწრება საბჭოს სხდომას.

აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ფარმაცია" (სააფთიაქო) მეხუთე საფეხურის და „კბილის ტექნიკოსის" მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 1 და 2 ოქტომბერს ვიზიტი განახორციელა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, მოდულური პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და პროგრამების კოორდინატორებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს აკმაყოფილებს.

იანინა გიგიბერიამ ისაუბრა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილების შესახებ: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამედიცინო კორპორაცია „ევექსთან", რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის წარჩინებული 10 სტუდენტის სრულ დაფინანსებას. საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას აქვს მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური კავშირები. კერძოდ, 2015 წლიდან კოლეჯი თანამშრომლობს ლატვიის ქ.დაუგავპილსის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯთან. 2016 წელს კოლეჯის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქ.დაუგავპილსში კოლეჯის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც წარდგნენ პრეზენტაციით საექთნო განათლების შესახებ. ტალინის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯი გეგმავს ერთობლივი პროექტის განხორციელებას სახელწოდებით „პირველადი გადაუდებელი დახმარება ყველასთვის". პოლონეთის „ჯანმრთელობის და სპორტის ფუნდაციის" მიწვევით 2018 წლის ივნისში კოლეჯის დელეგაცია მიწვეულ იქნა ქ. უსტრონში, სადაც ჩატარდა კონფერენცია „ისწავლე და დასაქმდი პოლონეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში". თანამშრომლობის მიზნით დაიდო მემორანდუმი საექთნო კადრის დასაქმებასთან დაკავშირებით პოლონეთში. კოლეჯის ადმინისტრაცია აფინანსებს პოლონური ენის კურსებს პოლონეთში დასაქმების მსურველ სტუდენტებისათვის. კოლეჯს ასევე აქვს შეთანხმება გერმანიასთან სტუდენტთა დასაქმების თაობაზე. ამ მიზნით გერმანულმა მხარემ აიღო ვალდებულება დააფინანსოს გერმანული ენის შესწავლა მუშობის მსურველ სტუდენტებისათვის. კბილის ტექნიკოსის პროგრამის ფარგლებში 2 მასწავლებელი და 4 სტუდენტი 2016,2017 წლებში იმყოფებოდნენ ფინეთში, სადაც გაეცნენ კბილის სატექნიკო აღჭურვილობის უახლეს აპარატურას და კბილის პროტეზების დამზადების 3D ტექნოლოგიებს.

აღნიშნა, რომ იმყოფებონენ კოლეჯის პრაქტიკის ობიექტებზე, ასევე გაესაუბრნენ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს, რომლებიც მზაობას გამოხატავენ შემდგომ თანამშრომლობაზე.

აღნიშნა, რომ ექსპერტებს დაწესებულებისთვის არც რეკომენდაციები დაუფიქსირებიათ ვიზიტის დასკვნაში.

ექსპერტებმა საბჭოს წარუდგინეს ვიზიტისას გადაღებული ფოტომასალა.

ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა კარგად არის ჩამოყალიბებული და ამისთვის მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა კბილის სატექნიკო საქმის პროგრამის მიმართულებით რა ღონისძიებები იგეგმება და ვისთან თანამშრომლობენ.

კოლეჯის დირექტომა, ვასილ კიკნაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი თანამშრომლობს ორ კლინიკასთან, შპს სტომატოლოგიური კლინიკა „ელიტთან" და შპს სტომატოლოგიური კლინიკა „საპარუსთან". შპს სტომატოლოგიური კლინიკა ,,ელიტი'' გამოირჩევა დარგში მიმდინარე სიახლეების დანერგვით და ამიტომაც საკმაოდ ცნობილი კლინიკაა თბილისში.

ლელა მაისურაძე დაინტერესდა, რომელ პროგრამებს ახორციელებს კოლეჯი. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ, მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს წელს შეუსრულდა 140 წელი და თავისი ისტორიის მანძილზე ახორციელებს პროგრამებს მხოლოდ ჯანდაცვის მიმართულებით. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებულ ამ მიმართულების ყველა პროგრამას: პრაქტიკოსი ექთანი, ბებიაქალი, ფარმაცევტის თამაშემწე, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი, ექთნის თანაშემწე და პრაქტიკოსი ექთანი. შენიშნა, რომ ერთ-ერთი პირველები არიან, ვინც იმატებს კბილის სატექნიკო საქმის პროგრამას, რადგან პროგრამის მატერიალური რესურსის შეძენა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

იანინა გიგიბერიამ აღნიშნა, რომ კბილის სატექნიკო საქმის პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო გარემო მოწყობილია ინდივიდუალურად თავისი გამწოვით, რაც უფრო კომფორტულს ხდის სასწავლო გარემოს.

ნატა ჩხაიძემ, შპს ,,PSP ფარმას'' წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ საგნობრივი პროგრამის ფარგლებში ფარმაციის მიმართულებით უკვე დიდიხანია თანამშრომლობენ ამ კოლეჯთან და მოხარული არიან, რომ გრძელდება თანამშრომლობა ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის ფარგლებშიც. აღნიშნა, რომ ამ კოლეჯის კურსდამთავრებულები საკმაოდ მაღალკვალიფიციურები არიან და მათთვის ტრენინგ კურსის ჩატარება ფაქტობრივად აღარაა საჭირო დასაქმების წინ.

კახაბერ ერაძემ შენიშნა, რომ შპს ,,PSP ფარმას'' წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნატა ჩხაიძემცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ კომპანია საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის სტუდენტების, ასევე შპს ინტერბიზნესის აკადემიის 100 სტუდენტის მიღებას გეგმავს, ეხლა კი მზაობას აცხადებს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სტუდენტების მიღებაზე, გვიჩნდება კითხვა, როგორ გეგმავს დაწესებულება ამდენი სტუდენტის ერთდროულად მიღებას. თანაც, შესაძლოა კომპანია სხვა კოლეჯებთანაც თანამშრომლობდეს, რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია.

ნატა ჩხაიძემ უპასუხა, რომ ერთი ფარმაცევტი ერთ ცვლაში მენტორობას გაუწევს ერთ სტუდენტს, რაც სტუდენტს მისცემს მომხმარებელთან ურთიერთობის მეტ საშუალებას. შესაბამისად ერთ მენტორ-მასწავლებელს შეუძლია დღეში ორი სტუდენტის მიღება 4-4 საათის განმავლობაში.

დაწესებულებას გადამზადებული ჰყავს 50 მენტორი-მასწავლებელი. არის მზაობა კიდევ გადამზადდეს მათი კადრები. ასევე, სამივე პარტნიორი კოლეჯის სასწავლო გეგმებში უკვე გაითვალისწინეს, რომ დროში არ მოხდეს სტუდენტთა პრაქტიკის ერთმანეთთან დამთხვევა და შესაძლებელი იყოს სტუდენტთა ზემოხსენებული რაოდენობა უპრობლემოდ მიიღონ.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა ვის მიერ ანაზღაურდება მენტორ-მასწავლებელის სამუშაო. მაია ჩიხლაძემ განმარტა, რომ ისინი არიან პროფესიული მასწავლებლები და მათი ხელფასს ანაზღაურებს კოლეჯი. კოლეჯი ასევე ასწავლის მათ მოდულური სწავლების სპეციფიკას და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის ,,კბილის სატექნიკო საქმის'' მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)'' მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ: 400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კბილის სატექნიკო საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კბილის სატექნიკო საქმეში 090252	82	112	ქართული	40	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №2
2	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 090352	123	153	ქართული	40	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა მეოთხე საკითხმა. კოლეჯმა მოიპოვა დამატებით ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელზეც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 80-ს. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 700-ით. შესაბამისად შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე უნდა განესაზღვროს 780-ით.

დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნული ცვლილებას დაეთანხმნენ.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №18 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595) 2016 წლის 4 აგვისტოდან 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 780-ით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე